ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35
2018 წლის 27 აპრილი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №5 დადგენილებით დამტკიცებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №5 დადგენილებით დამტკიცებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში (საკანონმდებლო მაცნე www. matsne.gov.ge, 24.01.2018წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.124.016281) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-ლი მუხლის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ა უდიტისა და ინსპექტირების სამსახური“, მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის „სამასახურის უფროსი“ პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობით.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის „სამსახურის უფროსი“, მესამე პუნქტს დაემატოს „ე^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე^{1})შეიმუშავებს და ამტკიცებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას.“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის „სამსახურის ძირითადი ამოცანები“ პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაწესებულების (მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების) შიდა აუდიტორული შემოწმება/ინსპექტირება;“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის „სამსახურის ვალდებულება“ პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) აუდიტის/ინსპექტირების დაწყებამდე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, წარუდგინოს აუდიტის განხორციელების შესახებ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, შესაბამისი აუდიტის ინდივიდუალური გეგმა“.

6. დებულების მე-8 მუხლის „სამსახურის ვალდებულება“ პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შალვა მშვილდაძე